ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი --- ნანული ორაგველიძე

თანამდებობის დასახელება--- საკრებულოს, ორი კომისიის, ფრაქციის, გენდერული საბჭოს და დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

კომისიის დასახელება ----- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია; აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

ფრაქციის დასახელება --- მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) __ პარტიული სია (პარტია „ირმა ინაშვილი, დავით თარხან- მოურავი პატრიოტთა ალიანსი")

საანგარიშო პერიოდი ---- 2020 წელი

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)--- რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა --- 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება --- 18

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა --21--- მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი 3

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება --19--- მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი 3

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 8

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 8

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები----- მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა ქალაქის ტერიტორიაზე, მათ შორის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის მიმართულებით; საბავშვო ბაღებში აღმზრდელთა შრომითი პირობებისა და ფინანსური უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ქალაქის, მათ შორის

ანასეულის ტერიტორიაზე მომრავლებული უპატრონო ძაღლების პრობლემის განხილვა და ღონისძიებათა დაგეგმვა; ანასეულის წყალგაყვანილობის პროექტის განხორციელების დამთავრებამდე მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ანასეულის ტერიტორიის და გზების ოზურგეთი-ანასეული ექადია მოწესრიგება-მოასფალტება, ასევე უნივერსიტეტის ს. №12-ის ეზოს კეთილმოწყობა; ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ტოქსიკური საწარმოს შექმნის პრობლემა; მოსახლეობის ერთჯერადი დაფინანსების (დახმარების) გაზრდა; მუნიციპალიტეტის დეცენტრალიზაციის დაჩქარება და სამუშაო ადგილების შექმნის ვალდებულება; სხვ.

ინიცირებული საკითხებიდან დადებითი რეაგირება მოყვა რამდენიმე საკითხს: ბიუჯეტში აისახა საბავშვო ბაღებში აღმზრდელთა სახელფასო ანაზღაურების გაზრდა; მოსახლეობისათვის მედიკამენტების შეძენის დახმარება; ტოქსიკური საწარმოს შექმნის საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა რომელიც შემდეგ შეიცვალა ოფიციალური წერილის გაზავნის წინადადებთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოსახლეობასთან პრობლემის განხილვის დროის შეცვლის თხოვნით; ასევე განხორციელდა უნივერსიტეტის № 12 მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები ჩაის რეაბილიტაციის პროგრამაში ცვლილებების შეტანა; მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის დეცენტრალიზაციის დაჩქარება და სამუშაო ადგილების შექმნის ვალდებულება., ადგილობრივი პროდუქტების წარმოებისათვის მხარდაჭერა

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა პროექტს გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელშიც ზოგიერთი პუნქტი გენდერული ჯგუფების შესახებ განმეორებით იყო მითითებული; ბიუჯეტის იმ ნაწილს, რომლის პროგრამულ ნაწილში წინა წელთან შედარებით შემცირებული იყო სოცალური დაფინანსება.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ----10--------- და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა ---35-------

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სოციალური დახმარების გაზრდა; კომუნალური დახმარების გაწევა მეორე ჯგუფის ინვალიდებისათვის; წყალმომარაგების გაუმჯობესება; დასაქმება; ჩაის რეაბილიტაციის პროგრამის პირობების გაუმჯობესება და პროგრამის შესრულებაში მეცნიერებისა და სპეციალისტების ჩართულობა; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა; მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების გრაფიკის ახალი მიმართულებების დანიშვნა ქალაქის საავადმყოფოს, პოლიკლინიკის, ასევე ოზურგეთი-ექადიის მიმართულებით; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ტოქსიკური საწარმოს აკრძალვის მიზნით მუნიციპალიტეტის

აქტიურობის გაზრდა; ქუჩაში უპატრონო ძაღლების პრობლემა, მუნიციპალური პოლიკლინიკის პრობლემის გადაწყვეტა სხვ.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მოქალაქეთა სოციალური დახმარების მოგვარებას; მომართვის საპასუხოდ ვღებულობდი ინფორმაციას პირადი შეხვედრით ან ტელეფონით. ვეცნობოდი მათ პრობლემებს. ვაძლევდი წინადადებას დახმარებისთვის აუცილებელი დოკუმენტების მოგროვების შესახებ და პრაქტიკულადაც ვეხმარებოდი კონკრეტულ შემთხვევებში (გადაადგილების სიძნელეების შემთხვევაში). განცხადებისა და დოკუმენტების შეტანა ხდებოდა პირადად ან ონლაინ, რის შემდეგაც ვამოწმებდი დახმარებაზე გადაწყვეტილების მიღებას. აუცილებლობის შემთხვევაში მივმართავდი ბ-ნ ი. სირაძეს, რომელიც კურირებს სოციალურ საკითხებს. საანგარიშო პერიოდში მსგავსი დახმარება გაუწიე 20--ზე მეტ მოქალაქეს (ც. ხელაძე, თ. ანთიძე ს.ბალოზიანი, გ. მუავანაძე, ს. თალაკვაძე, თ. ლომინაძე, დ.ერქომაიშვილი, თ. ანთიძე, სხვ). იყო შემთხვევები, როცა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ერთი და იგივე ადამიანი ორჯერადად მომართავდა დახმარების მიღებისთვის. როგორც გამონაკლისი ასეთი შემთხვევებიც დადებითად გადაწყდა. მოქალაქეთა მიერ დასმულ პრობლემებს ასევე ვაყენებდი მუნიციპალიტეტის წინაშე გადასაწყვეტად. ასე მაგ. მუნიციპალური ტრანსპორტის ახალი გრაფიკით მოძრაობა; წყალმომარაგების გაუმჯობესება; უპატრონო ძაღლების პრობლემის მოგვარება; სოციალური დახმარებს გაზრდა და სხვ.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: დავეხმარე მოქალაქეებს მიწის დარეგისტრირების განხორციელებისას (5 პიროვნება), რომლებმაც ასევე მთხოვეს კოოპერატივის შექმნაში დახმარების გაწევა. მოვიპოვე და შევიმუშავე ყველა აუცილებელი დოკუმენტი. რეალური მუშაობა (წევრების შეკრება, ხემძღვანელი ორგანოების არჩევა, დარეგისტრირება და სხვ.) გაგრძელდება პანდემიის შედარებით შემცირებისას. ასევე ვახორციელებდი მათ ინფორმირებას ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული დახმარებებისა და ინფრასტრუქტურის სამუშაოების შესახებ. მოსახლეობასთან შეხვედრისას მათ აქტიურად ვაცნობდი ადგილობრივი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ გრანტებსა და პროექტებს, სუბტროპიკული ნედლეულის გაშენებისა და გადამუშვების პერსპექტივებს.

შევსების თარიღი ----5.02. 2021----------

წარდგენის თარიღი ----------
ხელმოწერა ----------